

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 296

დუშეთი

22 აგვისტო 2016 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: ერთი მხრივ: დუშეთის მუნიციპალიტეტის, რომლის რეკვიზიტებია: მისამართი: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27, ს/კ 229324451, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, ა/ა GE24NB03301002001165022 შემდგომში „შესყიდველი“

და მეორეს მხრივ, შპს „არქ ბილდინგი“ რომლის რეკვიზიტებია: დემეტრე თავდადებულის ქ. N20/40, ს / N 404858294, , მომსახურე ბანკი - „ვითიბი ბანკი“, ბ/კ UGEBGE22, ა/ა GE93VT6600000000133605 – შემდგომში - „მიმწოდებელი“

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 18 აგვისტოს #2370 განკარგულებისა (SMP160002234) საფუძველზე

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: დუშეთის მუნიციპალიტეტის, ხეობის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიით დაზიანებული ობიექტების: 1. ხეობის თემში გზის სამაგრი გაბიონის მოწყობა წირდალასხევაში, სოფელ ხეობაში მისასვლელ გზაზე; (14 584.88 ლარი) 2. სოფელი წითელივლდე წყალგამტარის აღდგენა რეკონსტრუქცია სოფლის შესასვლელში გზისა და ხევის გადაკვეთაზე. (37 920.48 ლარი)

1.2. შესყიდვის საშუალება: გამარტივებული შესყიდვა

1.3 კლასიფიკატორის კოდი: CPV- 45200000

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 52 505.28 (ორმოცდათორმეტი ათას ხუთას ხუთი ლარი და 28 თეთრი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება გულისხმობს საერთო თანხას, რომელიც შესყიდველმა უნდა გადაუხადოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის

2.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესასრულებელი სამუშაოს ღირებულებას ასევე წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს, მათ შორის საქართველოში მოქმედ ყველა გადასახადს.

3. სამუშაოს შესრულების პირობები და ხარისხი

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, არსებული სტანდარტების და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების, მათ შორის ხელშეკრულებაზე დართული საპროექტო ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაო განახორციელოს სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

3.4. მშენებლობის პროცესში გამოყენებული ყველა მასალა მოწყობილობა უნდა იყოს სათანადო ხარისხის. შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს სტანდარტის დამადასტურებელი სერთიფიკატი, ან/და მოსთხოვოს მიმწოდებელს ჩაატაროს გამოსაყენებელი მასალების ყველა საჭირო ლაბორატორიული გამოცდა და შემოწმება, მათი გამოყენების ვარგისიანობაზე მიმწოდებელი

ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში გონივრულ ვადაში წარმოადგინოს გამოყენებული მასალების (ცემენტბეტონის, ღორღის, ქვიშის, მინერალური ფხვნილის, ბიტუმის,

3.5. გრუნტების და სხვა.) ლაბორატორიული დასკვნები, დასკვნასთან ერთად წარმოდგენილი იქნეს აღნიშნული დასკვნის გამგეში ლაბორატორიის ლიცენზირებულობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი. მასალები უნდა ინახებოდეს დახურული წესით, გარდა იმ მასალებისა, რომელიც ნორმების მიხედვით ინახება ღია ცის ქვეშ.

3.6. იმ შემთხვევაში თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოთა წარმოება და აკრძალოს შუასაბამო მასალების გამოყენება.

3.7. შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადად განისაზღვრება 2 (ორი) წელი სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმების დღიდან, რომლის განმავლობაშიც „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი დაზიანებების და გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, აღნიშნული არ გულისხმობს საგარანტიო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

4. სამუშაოს შესრულებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების ვადა გრძელდება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 12 სექტემბრის ჩათვლით.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადაა ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

5. . შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება ხორციელდება ეტაპობრივად-შესყიდვის ობიექტის ნაწილის მიღების გზით და საბოლოო შემოწმების შედეგად - სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების გზით.

5.2. სამუშაოთა შუალედურ და საბოლოო მიღება-ჩაბარებას განახორციელებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი ორგანიზაცია. ორგანიზაციის წევრების ვინაობის შესახებ მიმწოდებელს დამატებით ეცნობება წერილობით.

5.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიღება, როგორც სრული ასევე ნაწილობრივი, ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

5.4. სამუშაოების ეტაპობრივი მიღება-ჩაბარებისთვის, მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შესრულებული სამუშაოების აქტი-ფორმა N2, ფარული სამუშაოების აქტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დადასტურებული ტექნიკური ზედამხედველის ხელმოწერით, და საგადასახადო ანგარიშგაქტურა (თუ გააჩნია აღნიშნული საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულება).

5.5. დამთავრებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარებისთვის მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შესრულებული სამუშაოების აქტი-ფორმა N2, ფარული სამუშაოების აქტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დადასტურებული ტექნიკური ზედამხედველის ხელმოწერით და საგადასახადო ანგარიშგაქტურა (თუ გააჩნია აღნიშნული საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულება). საბოლოო მიღება-ჩაბარებისთვის მიმწოდებელმა შემსყიდველს, ასევე უნდა წარმოუდგინოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“ს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დადებითი დასკვნა.

5.6. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების დასრულების შემდეგ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მიზნით სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის

ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დადებითი დასკვნა წარმოადგინოს არაუგვიანეს 50 დღის ვადაში, სამუშაოების დასრულების მომენტიდან.
5.7 მიმწოდებელმა უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს მთავრობის N 55 დადგენილებით „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გვემური მოგების განსაზღვრის წესის მიხედვით“.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.
6.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად ან ერთჯერადი გადახდის გზით, მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოზე წარმოდგენილი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა N2-ის და საგადასახადო ანგარიშშეაქტურის (თუ გააჩნია აღნიშნული საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულება) წარმოდგენის საფუძველზე. 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
6.4 შესასრულებელი სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შემსყიდველი განახორციელებს შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტში (ფორმა N2 და ანგარიშშეაქტურაში) ნაჩვენები თანხების 10 %-ს, დაკავებული თანხა აღნაზღაურდება მიმწოდებელს, სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პერიოდულ კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ ბრძანებით განსაზღვრული პირი ან პირები.
7.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სამუშაოთა დამოუკიდებელი ზედამხედველი.
7.3 შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარება განხორციელდება ორივე მხარის უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახური.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1 ფორსმაჟორული პირობების გარდა მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოყენებული იქნება საჯარიმო სანქციები.
8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტებლოს გადახდა, ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო თანხის 0.1% - ის ოდენობით.
8.3 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 15 დღეში.
8.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.5 თუ შემსყიდველი არ ასრულებს მე-7 მუხლის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტებლო, ჩასარიცხი თანხის 0.1%-ის ოდენობით, ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე.
8.6 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ დაიწყებს სამუშაოებს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში ერთჯერადად დაეკისრება საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

8.7. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ შეასრულებს 5.6 პუნქტით გაგანსაზღვრულ პირობას მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელმწიკრულუბო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას შიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) შესასრულებელი სამუშაოების 30 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით დარღვევის შემთხვევაში;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზნების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

10. ფორს - მაჟორული სიტუაციები

10.1 ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან შეფერხება არის ფორს - მაჟორული გარემოებების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს - მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი, ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს - მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარეებმა, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს - მაჟორული გარემოებების ზეგავლენებისაგან.

10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით, რომელიც უნდა დაერთოს ხელშეკრულებას დანართის სახით.

11. უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

11.1 მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

10.2 მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და ავეთების თავიდან ასაცილებლად.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 თუ რაიმე წინასწარ გათვალისწინებული მიზეზების გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით – მხარეთა მიერ შეთანხმების აქტის სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობით შეთანხმება ცვლილებების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. უფლებების გადაცემა

13.1 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისათვის მთლიანი ან დანარჩენი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე. აგრეთვე, მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დანარჩენი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

13.2 მიმწოდებელს არა აქვს უფლება მხარეთა (შემსყიდველი – მიმწოდებელი – მესამე პირი) წერილობითი შეთანხმების გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13.3 უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი-მიმწოდებელი-მესამე პირი).

13.4 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14. ფასები

14.1 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულებების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.

14.2 მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა:

14.3 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

14.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულებების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

14.5 ხელშეკრულების ღირებულების ცვლილება ფორმდება მხარეთა წერილობით შეთანხმების სახით.

15. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

15.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების სახით უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისთვის მიწოდება დეფემის, ტელექსის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გავზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გავზავნის მეშვეობით.

15.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

15.3 მხარეებს უფლება აქვთ წარმოქმნილი აუცილებლობის შემთხვევაში დააზუსტონ შესასრულებელი სამუშაოების რუხსა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საერთო ღირებულების ფარგლებში.

15.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია დააკმაყოფილოს „შემსყიდველის“ მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენის შესახებ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის, ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ, შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა გონივრული შეთანხმებით ან/და მოგვარდეს პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით სამართლიანობის ფარგლებში.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

16.4 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. სხვა პირობები

17.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

17.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი :



მიმწოდებელი:

შპს „არქ ბილდინგი“-ს
დირექტორი:



/პ. ღარიბაშვილი/

იურისტი:





სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080150956541116

2370

18 / აგვისტო / 2016 წ.

დუშეთის მუნიციპალიტეტისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის 16 აგვისტოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის SMP160002234 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს 2016 წლის 10-11 ივლისს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ხეობის თემში გზის სამაგრი გაბიონის მოწყობისა და სოფელ წითელკლდეში წყალგამტარის აღდგენის სამუშაოების (CPV 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები) შესყიდვას.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, შესყიდვა გამოწვეულია გადაუდებელი აუცილებლობით, რადგან 2016 წლის 10-11 ივლისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანდა ცენტრალური და შიდა გზები, მწყობრიდან გამოსულ გზებზე პრაქტიკულად შეუძლებელია ავტომანქანების, მათ შორის, სასწრაფო დახმარების ავტომანქანების გადაადგილება. შესაბამისად, საფრთხე ექმნება ადამიანთა ჯამრთელობას და სიცოცხლეს, აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია მოცემული ვითარების მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში აღმოფხვრა.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, აღნიშნული მდგომარეობა განპირობებული იყო ამინდის გაუარესებიდან გამომდინარე და შესაბამისად, მოცემული ვითარების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იქნებოდა. ასევე, როგორც მომართვიდან ირკვევა, მუნიციპალიტეტის სამსახურების მიერ განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის დათვლის მიზნით. ამის შემდგომ, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის № 1533 განკარგულების საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე და 2016 წლის 05 აგვისტოს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შევიდა ცვლილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს

№ 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, ინდენად რამდენადაც, შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, 2016 წლის 10-11 იულისის მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანდა ცენტრალური და შიდა გზები. შესაბამისად გამოსულ გზებზე პრაქტიკულად შეუძლებელია ავტომანქანების, მათ შორის, სასწრაფო დახმარების ავტომანქანების გადაადგილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საფრთხე ექმნება ადამიანთა უსაფრთხოებას და სიცოცხლეს, შესაბამისად, შესყიდვის განხორციელებლობა მნიშვნელოვნად დააზარალებს სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ აღნიშნული შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კორუპციულ და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის SMP160002234 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.
2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე



ლევან რაზმაძე

Գ. Վ. Բ. Կ. Կ. Կ.
 22.08.2016

Երեւանի մարզպետարանի
 Ընթացակարգի մեթոդական


Գ. Վ. Բ. Կ. Կ. Կ. Կ.
 22.08.2016

Երեւան

Հարգելի Մարզպետ,

Գ. Վ. Բ. Կ. Կ. Կ.
 22.08.2016


 22.08.2016



ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N წინამდებარე

ხელშეკრულება დადებულია:

01 ივლისი 2016 წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების“ საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებითი და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

„შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვებს

„მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

„ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის

„დღე“ „კვირა“ „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, თვეს, კვირას თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია

ერთის მხრივ, შპს „ტექსერვისს“ შორის, რომლის რეკვიზიტებია: მისამართი - ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27, ს/კ 429320530 მომსახურე ბანკი – „ლიბერთი ბანკი“ დუშეთის ფილიალი ბანკის კოდი –LBRTGE22 , ა/ა GE7313011311511234000 – (შემდგომში - „მიმწოდებელი“)

და მეორეს მხრივ: შპს „არქ ბილდინგი“ შორის რომლის რეკვიზიტებია: მისამართი -დემეტრე თავდადებულის ქუჩა №20/40,ს/კ 404858294, მომსახურე ბანკი - „ვითიზი ბანკი ჯორჯია“ ბ/კ UGEBGE22, ა/ა GE93VT6600000000133605 (შემდგომში „შემსყიდველი“)

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 გრეიდერით სახ.№AC 717,ბორბლებიანი ექსკავატორი კამაცუ სახ№OA-635,ბულდოზერი მასტუი სახ.№AB-891 A,ტრაქტორი(ექსკავატორი დამტვირთველი) JCB 3CXsystemaster super სახ№DD-037,ავტოთვიომცლელი კამაზი 53212 სახ.№ABC. 598 მომსახურების შესყიდვა.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების პირობების დაცვით განახორციელოს საქონლის მიწოდება. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე, მიწოდების დროულობაზე.

4.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მიწოდებული საქონლის ღირებულება.

4.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ შესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

4.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ შესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.

4.5 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ შესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.

5. საქონლის მიღება ჩაბარების წესი

5.1 საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების შემდეგ.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ორივე მხარე.

7. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

7.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული და იქნება მოხმარებისათვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლა, გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

8.2 ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება ჩაბარების“ აქტის გაფორმებიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში.

8.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9. ფასები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების მეოთხე პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

9.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა, ხელშეკრულების მთელი მოქმედების განმავლობაში, დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, საგაღაპრო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

9.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 1% ს.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია, ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარმოუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

11.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მილიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება მოვალეობა.

12. სუბ-კონტრაქტორები

12.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტორების დადების ან სუბ-კონტრაქტორების შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

12.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორების ასლი უნდა

12.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღებელი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი ასეთი გარემოება შეიძლება გამოიწვევოს იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამოწვევი მიზეზების შესახებ, თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის დამიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოიწვიოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1% ის ოდენობით.

14.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

14.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები ერთ ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.

15.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

15.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ ყველა ღონეს იხმარენ რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

16.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. სხვა პირობები

17.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2016 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

17.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

მიმწოდებელი :

შპს „ტექსერვისი“

მის. დუშეთი, რუსთაველის ქ. #27

ს/კ 429320530

ბანკი: ს/ს „ლიბერთი ბანკი“

ბანკის კოდი: LBRTGE22

ა/ა GE73LB0113115111234000

შემსყიდველი:

შპს „არქ ბილდინგი“

თბილისი დ თავდადებულის ქ. №20/40

ს/კ 404858294

ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“

ბანკის კოდი: UGEBGE22

ა/ა GE93VT6600000000133605

ელდარ ლოთიკაშვილი



შემსყიდველი



ხეობის თემში გზის სამაგრი გაბიონის მოწყობა
წირდალასხევში სოფელ ხეობაში მისსეფელ გზაზე

№	სამუშაოს დასახელება	გან. ერთ.	რაოდენობა	ერთ. ღირებ.	მთლიანი ღირებ.
1	3	4	5	6	7
1	გრუნტის დამუშავება მდინარის კალაპოტში ბუღდოხერით 50მ-ზე გადაადგილებით	მ3	252		229
	ბუღდოხერი 252.0 X 0.0089			75,7	229
2	გრუნტის დამუშავება-მოსწორება ხელით გაბიონის მოსაწყობად	მ3	26.4		338
	შრ. დანახარჯი 26.4 X 2.780			4,6	338
3	გაბიონის მოწყობა	მ3	114.4		9569
	შრომის დანახარჯი 114.4 X 3.840			10	4393
	რენომატრასი 4მX2მX0,3მ 11.0 X 1.0	კალი	11.0	90,68	997
	გაბიონის კალათა 2მX2მX1მ 21.0 X 1.0	კალი	21.0	72,9	1531
	გაბიონის კალათა 2მX1მX1მ 2.0 X 1.0	კალი	2.0	46,61	93
	გაბიონის სამონტაჟო მაეთული 2,2მ 114.4 X 0.5	კალი	58.7	1,8	106
	გაბიონის ქვა 114.4 X 10	მ3	114.4	3,39	388
	გეოტექსტილი 136.4 X 12	მ2	163.7	1,8	295
	გაბიონის ქვის და გაბიონის ტრანსპორტირება 229 X 1	ტ6	228.9	6,15	1408
	ხემსალა დახრხილი 114.40 X 0.00214	მ3	0.245	390	95
	სხვა მანქანები 114.4 X 0.32			3,2	117
	სხვა მასალები 114.4 X 1.28			1	146
4	გაბიონის უკან შეესება ადგილობრივი გრუნტით	მ3	101.2		268
	შრომის დანახარჯი 101.2 X 0.027			4,6	13
	ექსკავატორი 101.2 X 0.11	მ/სთ	11.3	22,54	255
	ჯამი				10404
	ზედნადები ხარჯები	10%			1040
	ჯამი				11444
	გეგმიური დაგროვება	8%			916
	ჯამი				12360
	დღგ	18%			2224,8
	სულ ხარჯთაღრიცხვით				14584,8

შპს „არქ ბილდინგის“ დირექტორი



/პ. ღარიბაშვილი/

სოფელი წითელიკლდე. წყალგამტარის აღდგენა-რეკონსტრუქცია
 სოფლის შესასვლელში გზისა და ხიდის გადამკვეთაზე

№	სამუშაოს დასახელება	გან. ერთ.	რაოდენობა	ერთ. ღირებ.	მოლიანი ღირებ.
1	3	4	5	6	7
1	გრუნტის დამუშავება ექსკავატორით არსებული რემონტაჟისა და ახალი რკინაბეტონის მილის მოსაწყობად	მ3	134.4		561
1	შრომის დანახარჯი	კაც/სთ		4,6	17
1	მასკავატორი	მან/სთ		36	544
2	არსებული რკინაბეტონის 1500მმ მილის რემონტაჟი	გრძ.მ	6.0		159
2	შრომის დანახარჯი	კაც/სთ	21,8	6	131
2	მანქანები	მან	6,7	3,2	22
2	სხვა მასალები	ლაბი	2,0	3,2	6
3	ტრანშეწობა საბოლოო და გაბიონის მოსაწყობად გრუნტის დამუშავება ხელით	მ3	15,6		260
3	შრ. დანახარჯი	კაც/სთ	43,4	6	260
3	რკინაბეტონის მილებისათვის ქვიშის ქვედა ფენის მოწყობა	მ3	8,6		375
4	შრომის დანახარჯი	კაც/სთ	15,6	6	93
4	ქვიშა	მ3	9,5	15,3	145
4	ქვიშის ტრანსპორტირება	ტმ	15,2	9	137
5	რკინაბეტონის 1500მმ მილების მოწყობა	გრძ.მ	16,0		4694
5	შრომის დანახარჯი	კაც/სთ	58,1	6	349
5	რკინაბეტონის 1500მმ მილი	გრძ.მ	15,9	190,7	3032
5	რკინაბეტონის მილის ტრანსპორტირება	ტმ	24,8	36	893
5	მანქანები ამწვერანი	მან	17,9	22,54	403
5	სხვა მასალები	ლაბი	5,2	3,2	17
6	გაბიონის მოწყობა	მ3	65		5945
6	შრომის დანახარჯი	კაც/სთ	249,6	10	2496
6	გაბიონის კალათა 28X18X18	კალთი	4,0	46,61	186
6	გაბიონის კალათა 28X28X18	კალთი	8,0	74,6	597
6	გაბიონის კალათა 1,58X18X18	კალთი	8,0	38,14	305
6	გაბიონის კალათა 1,58X18X0,58	კალთი	4,0	37,3	149
6	გაბიონის კალათა 18X18X18	კალთი	10,0	27,97	278
6	გაბიონის სამონტაჟო მავთული 2,2მ	კალთი	33,3	1,8	60

ვაძიობის ქვე	650 X 10	მ3	65.0	3.39	220
ვაძიობის ქვის და ვაძიობის ტრანსპორტირება	1320 X 1	ტ5	132.0	10	1320
ვერცხისტილი	600 X 12	მ2	72.0	1.8	150
ხემახლა დახეხილი	650 X 0.00214	მ3	0.139	390	54
სხვა მანქანები	650 X 0.32	მმმ	20.8	3.2	67
სხვა მასალები	650 X 1.28	ლარი	83.2	1	83
ხვეიდან ბაღასტის აწოდება ექსკავატორით, დატვირთვა ავტოთვიომცლუქლებზე და ტრანსპორტირება		მ3	820.0		10512
7 შრომის დახაზარჯი	8200 X 0.02	კაც/სთ	16.4	4.6	75
ექსკავატორი	8200 X 0.11	მმმ/სთ	90.2	36.43	3286
ბაღასტის ტრანსპორტირება	8200 X 1.60	ტ5	1312.0	5.45	7150
8 ტრანსპორტირებული და აწოდებული გრუნტის ჩაყრა ხეშში		მ3	954.4		868
ბუფლოზერი	954.4 X 0.0089	მმმ/სთ	11.47	75.7	868
9 შრომის წყლის ჩაძირისთვის აღვიდვიან ხეშიდვი გრუნტის დამუშავება ხელით		მ3	9.6		123
შრ. დანახარჯი	9.6 X 2.780	კაც/სთ	26.7	4.6	123
რკინაბეტონის ღარის მოწყობა ცალკე არმირებით 0,45მX0,5მX1,0მ		მ3	8.4		3554
შრომის დანახარჯი	84 X 8.590	კაც/სთ	72.2	6	433
რკინაბეტონის ღარი	400 X 10	კომ.მ	40.0	63.6	2544
რკინაბეტონის ღარის ტრანსპორტირება	202 X 1	ტ5	20.2	22.88	461
სხვა მანქანები	84 X 2.54	მმმ	21.3	3.2	68
სხვა მასალები	84 X 1.78	ლარი	15.0	3.2	48
ჯამი					27051
ზედნადები ხარჯები					2705
ჯამი					29756
ვერცხისტილი დაგროვება					2380
ჯამი					32136
დღგ			18%		5784.48
სულ ხარჯთაღრიცხვით					37920.48



შპს „არქ ბილდინგის“ დირექტორი

/ვ. ღარიბაშვილი/

შპს „არქ ბილდინგის“ მიერ 2012-2015 წლებში შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები (მომსახურება)

№	ორგანიზაციის დასახელება	პერიოდი	სამუშაოს (მომსახურების) შინაარსი	მოცულობა (ლარებში)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
1	საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია	აგვისტო 2012 წ.	სფფ მ. მეცხის სტადიონი, ტრიბუნების ობოლადიანი მოწყობის სამუშაოები	536718,25	
2	საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია	სექტემბერი 2012 წ.	სფფ მ. მეცხის სტადიონის სამღებრო და საიზოლაციო სამუშაოები	165890,26	
3	საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია	ოქტომბერი 2012 წ.	სფფ მ. მეცხის სტადიონის ტრიბუნების საიზოლაციო სამუშაოები	214181,12	
4	საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია	დეკემბერი 2012 წ.	სფფ მ. მეცხის სტადიონის ტრიბუნების საიზოლაციო სამუშაოები	172257,11	
5	საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია	დეკემბერი 2012 წ.	სფფ მ. მეცხის სტადიონის სამღებრო და საიზოლაციო სამუშაოები	119893,89	
6	შპს „ინტექსი“	ივნისი 2012 წ.	სატრანსპორტო მომსახურება	3000,0	
7	შპს „დეა 2006“	ივლისი-აგვისტო 2012 წ.	სატრანსპორტო მომსახურება, მასალები	10205,96	
8	შპს „ინტექსი“	აპრილი-ნოემბერი 2013 წ.	სატრანსპორტო მომსახურება	42200,0	
9	შპს „დეა 2006“	მარტი-აპრილი 2013 წ.	სატრანსპორტო მომსახურება	4500,0	

10	გაეროს განვითარების პროგრამების წარმომადგენლობა საქართველოში	ოქტომბერი 2013 წ.	გაეროს სახლის ფასადის სარემონტო სამუშაოები	7550,0	
11	გაეროს განვითარების პროგრამების წარმომადგენლობა საქართველოში	ნოემბერი 2013 წ.	გაეროს სახლის სავენტილაციო არხის დაზიანებული ნაწილის გამოცვლა	595,0	
12	საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია	მაისი 2013 წ.	სფფ მ. მესხის სტადიონის ტრიბუნების სამშენებლო სამუშაოები	116776,44	
13	საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია	მაისი 2013 წ.	სფფ მ. მესხის სტადიონის კეთილმოწყობის სამუშაოები	3213,83	
14	საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია	მაისი 2013 წ.	სფფ მ. მესხის სტადიონის კეთილმოწყობის სამუშაოები	11854,03	
15	საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია	ივლისი 2013 წ.	სფფ მ. მესხის სტადიონის ტრიბუნების სარემონტო სამუშაოები	4153,08	
16	საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია	ივლისი 2013 წ.	სფფ მ. მესხის სტადიონის სარემონტო სამშენებლო სამუშაოები	7585,65	
17	საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია	ივლისი 2013 წ.	სფფ მ. მესხის სტადიონის კეთილმოწყობის სამუშაოები	1986,93	
18	შპს „დეა 2006“	აპრილი, ივნისი 2014 წ.	მასალების მიწოდება	1535,0	
19	თვითმმართველი თემი დღუშეთის მუნიციპალიტეტი	ოქტომბერი 2015 წ.	დღუშეთის მუნიციპალიტეტში ს. ობისისა და ს. მაქაქურების წყლის რეაბილიტაციის სამუშაოები	85157,13	

20	თვითმმართველი თემი დუშეთის მუნიციპალიტეტი	დეკემბერი 2015 წ.	დუშეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტის, ბაზალეთის ადმ. ერთეულში ს. სამაბუროს (ვარდისუბანი) გზის სამაგრი გაბიონის მოწყობა უბანში მისასვლელი და შიდა გზის გასწვრივ სამუშაოები	56309,45
21	თვითმმართველი თემი დუშეთის მუნიციპალიტეტი	დეკემბერი 2015 წ.	დუშეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტის, ბაზალეთის ადმ. ერთეულში ს. ბაგის დაზარალებული ნაკირების შეკეთების სამუშაოები	39332,12
სულ:				1604895,25

შპს „არქ ბილდინგს“ დირექტორი



/ვ. დარიბაშვილი/